



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

თავი 5

თავი 5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

თავის შესრულების პროგრესი: 28% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

ძირითადი მიგნებები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-17 წლებისთვის) V თავის მონიტორინგის შედეგები. V თავით დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის) ერთ-ერთი პრიორიტეტის - ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების განხორციელება გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების ჩათვლით - განხორციელებას.

მიუხედავად საანგარიშო პერიოდში განხორციელებული რიგი საქმიანობებისა, მიზანი - არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრა და პრევენცია – ჯერ კიდევ მიუღწეველია უწყებების არაკოორდინირებული და უსისტემო მუშაობის, სამოქალაქო საზოგადოების დაბალი ჩართულობის და სხვა რიგი მიზეზების გამო. ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმაში ასახული საკითხების დუბლირება ამ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, უნივერსალურ და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია.

მისასაღმებელია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრომ და შსს-მ არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების „სტამბოლის პროტოკოლთან“ შესაბამისი ფორმები შეიმუშავეს. მომავალში საჭირო იქნება ყველა მოქმედი და მომავალი მოსამსახურის მომზადება/გადამზადება აღნიშნული ფორმების გამოყენებით არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირებაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში დოკუმენტირების მეთოდოლოგიის ეფექტური დანერგვა.

ასევე მისასაღმებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით გაუმჯობესდა შიდა მონიტორინგის მექანიზმების სამართლებრივი ბაზა სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში; მომავალში სასურველი იქნება აღნიშნული გაუმჯობესება პრაქტიკაშიც აისახოს.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის V თავი არ ან არასათანადოდ მოიცავს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა, სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, სხვადასხვა დახურულ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი, არ მიმდინარეობს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრაზე მუშაობა, რაც აუცილებელია მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამის შესამუშავებლად; სასურველი იქნებოდა დახურული დაწესებულებების მოსამსახურეთათვის სპეციალური პროცედურების გამოყენების დეტალური ინსტრუქციების/პროტოკოლების შემუშავებაც.

სამთავრობო გეგმა არ ითვალისწინებს, ხოლო შესაბამისი უწყებები არასათანადოდ უზრუნველყოფენ დახურული დაწესებულებების პერსონალის სპეციალური პროცედურების გამოყენებაში რეგულარულ გადამზადებას (ძალის/იარაღის გამოყენება, სპეციალური

საშუალებების გამოყენება, ჩხრეკა და სხვა).

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კონცეფცია, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ, სამოქალაქო საზოგადოებისთვის დახურული შემუშავების პროცესის შედეგად წარმოადგინა, ინსტიტუციურად გაუმართავია, არ მოიცავს დევნის უფლებამოსილებას, შესაბამისად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მისი ამოქმედებით არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება გაუმჯობესდება.

კვლავ პრობლემად რჩება დაკავებულ პირთათვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური და კვებითი პირობების, პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით გარკვეული გაუმჯობესებები ყველა უწყებაში აღინიშნება, თუმცა მიღწეული პროგრესი არასაკმარისია.

დღესდღეობით სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი დახურული დაწესებულებების ერთადერთი გარე მონიტორინგის საშუალებაა ქვეყანაში, რომლის უფლებამოსილებებს ფოტოგადაღების უფლება დაემატა, თუმცა აღნიშნული ცვლილება იმდენად ხარვეზიანი სახითაა წარმოდგენილი, რომ ამ უფლებამოსილების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი ეჭვქვეშ დგება.

ზოგადი მიმოხილვა

არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის კუთხით საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. დახურულ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობა -სტაციონარული ფსიქიატრიული პაციენტების აუტანელი საცხოვრებელი პირობები, ციხის თანამშრომელთა მხრიდან, ასევე, ადმინისტრაციის მდუმარე თანხმობით ან წაქეზებით პატიმართა შორის ძალადობის და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევები, მოძრაობის შეზღუდვების და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთათვის მძიმე საცხოვრებელი პირობები პენიტენციურ დაწესებულებებში - სისტემურ პრობლემად რჩება. საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ღონისძიებები, რომლებიც მომავლისთვის მაინც რადიკალურად შეცვლიდა ამ მხრივ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და მოგვაახლოებდა არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნის შესრულებასთან. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, უწყებების არაკოორდინირებული მოქმედება, მეორე მხრივ კი ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში მოცემული საქმიანობებისადმი ფორმალისტური დამოკიდებულებაა. ხშირ შემთხვევაში, ახალი კანონმდებლობის, პოლიტიკის თუ პროგრამის შემუშავების პროცესში არ განხორციელებულა საჭიროებებისა და ხარვეზების კვლევა, პროცესები ძირითადად გაუმჭვირვალე იყო და არ უზრუნველყოფდა სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვან ჩართულობას.

პრობლემის გადაჭრას ხელს არ უწყობს ის, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და წამებასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის მეხუთე თავს მხოლოდ ერთი მიზანი-წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა აქვს და მასში გაერთიანებულია რვა ამოცანა შესაბამისი საქმიანობებით. ეს თავი ასახავს ოთხ ძირითად მიზანს, რომელიც მოცემულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმაში 2015-2016 წლებისთვის. ამ გეგმების პარალელური არსებობა ზედმეტ დაბრკოლებად მიგვჩნია პასუხისმგებელი უწყებებისთვის, რომლებსაც პარალელურად უწევთ ორი სხვადასხვა გეგმით გაწერილ პრაქტიკულად იდენტურ აქტივობებზე მუშაობა და მათ შესრულებაზე სხვადასხვა უწყებებთან ანგარიშგება.

სამთავრობო სამოქმედო გეგმაში, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლისთვის დასახულ ღონისძიებებს შორის, გამორჩენილია მნიშვნელოვანი საკითხები:

1. 2014-20 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით¹¹ გათვალისწინების მიუხედავად, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თავში (და არც არსად გეგმაში) არ ფიგურირებს დახურული დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბება¹²;
2. საკითხის სიმწვავის მიუხედავად, გეგმაში არსად არის საუბარი კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებული გავლენის შედეგებზე არასათანადო მოპყრობის კუთხით და მათი აღმოფხვრის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებებზე¹³;
3. V თავი მოიცავს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას, თუმცა დღემდე არ არის განსაზღვრული წამების მსხვერპლის სტატუსის არსი და მისი მიღების პროცედურები და ამას არც წინამდებარე გეგმა ითვალისწინებს;
4. თავში არ არის ასახული დეტალური პროტოკოლის გაწერა და თანამშრომლების რეგულარული ტრენინგი ყველა იმ პროცედურაში, რომლებიც არასათანადო მოპყრობის განხორციელების პოტენციურ რისკს შეიცავს - ძალის გამოყენება, სპეციალური საშუალებების გამოყენება, ინციდენტების მართვა, ჩხრეკა და სხვა.

სამთავრობო სამოქმედო გეგმის მეხუთე თავი სხვა რამდენიმე ხარვეზსაც შეიცავს:

1. მეხუთე თავის ორი იდენტური ამოცანის ქვეშ განსხვავებული საქმიანობებია განსაზღვრული, რაც შესაძლოა მექანიკურ შეცდომად ჩაითვალოს, თუმცა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მსგავსი ტიპის ხარვეზების ქონა დაუშვებელია.
2. პასუხისმგებელ უწყებად იუსტიციის სამინისტროს მითითება ასევე არ არის მართებული, ვინაიდან, 2009 წლის 27 ნოემბერს პრეზიდენტის ბრძანებულებაში შესული ცვლილებების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს წამებასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის კოორდინაციასა და აგვარებს საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს, რაც არ გულისხმობს სამთავრობო სამოქმედო გეგმის V თავში მოცემული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებლობას.
3. მესამე მნიშვნელოვანი ხარვეზია სისხლის სამართლის კოდექსში წამების განსაზღვრების გაერო-ს წამებასთან ბრძოლის კონვენციის პირველ მუხლთან - საჯარო მოხელე, როგორც სპეციალური სუბიექტი, წაქეზება, თანხმობა, დუმილით გამოხატული თანხმობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის მოგვარება, დიდი ალბათობით, ასახული იქნება 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმაში.

რაც შეეხება ამ თავით განსაზღვრული ერთადერთი მიზნის შესრულების ხარისხს, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა, თუმცა ისინი არასაკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

- ადამიანის უფლებათა მომავალ სამოქმედო გეგმაში ასახოს:
 - სამთავრობო უწყებებისგან დამოუკიდებელი და ეფექტიანი დახურული დაწესებულებების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;
 - არასათანადო მოპყრობის კუთხით, კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებული გავლენის შედეგების აღმოფხვრის თვალსაზრისით განსახორციელებელი ღონისძიებები;
 - ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა (რომლებიც არ იმყოფებიან სტაციონარში), ასევე, სხვა დახურულ დაწესებულებებში (შშმ პირთა, მოხუცთა, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, ბავშვთა სახლები და სხვა) განთავსებულ პირთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ღონისძიებები;

- ყველა საკანონმდებლო ცვლილების ან სახელმწიფო პროგრამის მიღების წინ შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პრაქტიკის, საჭიროებების კვლევის განხორციელება და გამოვლენილი ხარვეზების/საჭიროებების ასახვა შემუშავებულ დოკუმენტში.

- მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრასთან და აღნიშნულ სტატუსზე მიბმულ სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით.

იუსტიციის სამინისტროს

- მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი ცვლილებების პროექტი სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლში მოცემული წამების განსაზღვრების გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციასთან თანხმობაში მოყვანის თვალსაზრისით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საჯარო მოხელის, როგორც სპეციალური სუბიექტის მითითება, ასევე, წაქეზებით, თანხმობით ან მდუმარე თანხმობით ჩადენილი ქმედების წამებად კვალიფიცირება;
- საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალეობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა;
- პროაქტიურად იმოქმედოს სხვადასხვა უწყებებს შორის დაგეგმილი საქმიანობების შესრულების კოორდინირებისას შესრულებული საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების კუთხით.

წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს

- ხელი შეუწყოს უწყებათაშორის შეთანხმებას ერთიანი და სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებაზე, სადაც ასახული იქნება სრული ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის საკითხებზე, კერძოდ, მითითებული იქნება, ყველა შემთხვევაზე, რომელი უწყების თანამშრომლებს შეეხება, ასევე, სტატისტიკა წარმოებული იქნება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მიხედვით, არამედ უშუალოდ არასათანადო მოპყრობის ფაქტებიდან/საჩივრებიდან გამომდინარე (მათ შორის, რამდენი არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ შევიდა საჩივარი ამა თუ იმ უწყებაში, რომელი უწყებების თანამშრომლების წინააღმდეგ, რამდენ მათგანზე დაიწყო/შეწყდა გამოძიება, სსკ-ის რომელი მუხლით/მუხლებით, რამდენი პირის მიმართ დაიწყო სს დევნა, რამდენი საქმე და რამდენი პირის მიმართ წარიმართა სასამართლოში, რამდენზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და ა.შ.);
- უზრუნველყოს სასწავლო ცენტრების კოორდინაცია არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თემატიკაზე დაგეგმილი მომზადება/გადამზადების პროგრამების შინაარსისა და მოცულობის თვალსაზრისით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს,

- უზრუნველყონ სპეციალური პროცედურების (ძალის გამოყენება, იარაღის/სპეცსაშუალებების გამოყენება, ჩხრეკა, ინციდენტების მართვა) დეტალური პროტოკოლების გაწერა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, შესაბამისი აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა იქნება გაწერილი;
- უზრუნველყონ მოქმედი და მომავალი მოსამსახურეების სათანადო მომზადება/გადამზადება სპეციალური პროცედურების გამოყენებაში;
- განახორციელონ აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და დადგენილი საჭიროებების შესაბამისად, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, მათ შორის, ვიდეოთვალის ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრა.

შინაგან საქმეთა მინისტრს

- 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებით სამედიცინო პერსონალს მიეცეს საშუალება, დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, უშუალოდ მიმართოს პროკურატურას, იზოლაციის უფროსის ჩარევის გარეშე (დმი-ს შინაგანაწესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყონ სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით მომზადებულ დაზიანებების დოკუმენტაციის ფორმების დანერგვა ყველა დმი-ში;
- უზრუნველყონ არასამედიცინო პროფილის მოსამსახურეთა რეგულარული გადამზადება სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტაციის საკითხში.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- უზრუნველყოს დახურული ტიპის დაწესებულებებსა და ინსტიტუციებში (ფსიქიატრიული პროფილის სამედიცინო დაწესებულებები, თავშესაფრები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და ა.შ) მყოფი პირების ჯანმრთელობის დაცვის კუთხით სათანადო ღონისძიებების გატარება; განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, მომსახურების წვდომისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
- უზრუნველყოს წამების მსხვერპლთა რეზილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და ამოქმედება.

სასწავლო ცენტრებს

- რეგულარულად განხორციელდეს სასწავლო პროგრამების ხარვეზების შესწავლა და მათ აღმოფხვრაზე მუშაობა, ასევე, გადამამზადებელი თანამშრომლების ნუსხის წინასწარი განსაზღვრა და შესაბამისი თემატიკის შერჩევა მათი ფუნქციების გათვალისწინებით.

^[1] დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-III დადგენილებით <http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy>

^[2] საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის), 5.1.8 ამოცანა, მართალია, ითვალისწინებდა სამინისტროსთან არსებული ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნას, თუმცა ამგვარი მექანიზმის სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებობა ნაკლებად უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

^[3] აღნიშნულ პრობლემაზე საკმაოდ ვრცლად არის საუბარი სახალხო დამცველის 2016 წლის წლიურ ანგარიშში, გვ. 49-50 <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

მიზანი 5.1. წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლა

მიზნის შესრულების პროგრესი: 28.52%

მეხუთე თავის ერთადერთი მიზანი პრაქტიკულად სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამ თავის სათაურს და ზედმეტად ზოგადია. არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლისთვის სასურველი იქნებოდა უფრო კონკრეტული მიზნების განსაზღვრა. დასახული ამოცანები რელევანტურია.

მეხუთე თავში კვლავ გამოჩნდა ამოცანების უწყებრივი გადანაწილების ნაკლოვანება - ამ თავში ძირითადი აქცენტი შსს-სა და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ დახურულ დაწესებულებებზეა გაკეთებული, ვინაიდან პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი ამოცანები და საქმიანობები მეოთხე თავშია დაგეგმილი.

არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის კუთხით კვლავ არაერთი პრობლემა რჩება, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დამოუკიდებელი და ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის შექმნაა.

ამოცანა 5.1.1.. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო საქმიანობა რელევანტურია. ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა სამართლებრივი ბაზის ანალიზის და ცვლილებების მეშვეობით, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში წინგადადგმული ნაბიჯია. სამწუხაროა, რომ საანგარიშო პერიოდში მოცემული ამოცანა არ შესრულებულა.

აქტივობა 5.1.1.1.. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენა პარლამენტისთვის.

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ადამიანის წამების
- არაჰუმანური
- სასტიკი ან ჰატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
- მთავარი პროკურატურა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. კვლევის შედეგები;
2. ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში);
3. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები

დამატებული ინდიკატორები:

1. კვალიფიციური ექსპერტების მიერ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მომზადებულია არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და რეკომენდაციები კანონმდებლობის CPT-ის და სხვა რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
2. მომზადებული და განხორციელებული ნორმატიული ცვლილებები ასახავს ექსპერტების, ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის და CPT-ის რეკომენდაციებს.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

იუსტიციის სამინისტროს [ინფორმაციით\[1\]](#), წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შემუშავდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების დიდი დაინტერესებისა, პროცესი სრულიად გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა და ანგარიშის მომზადების პერიოდშიც ცვლილებების პაკეტის შინაარსი უცნობი იყო.

ამ საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი სამართლებრივი ბაზის ანალიზი არ განხორციელებულა. ასევე არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს კანონმდებლობით მოცემული წამების ცნების ჰარმონიზაციის თაობაზე გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დეფინიციასთან[2].

^[1] წერილი N7426 თარიღი:04/12/2-17

^[2] კერძოდ, ქმედებების ჩამდენ სპეციალურ სუბიექტზე - საჯარო მოხელეზე, ასევე, მოხელის წაქეზებით, თანხმობით თუ მდუმარე თანხმობით ჩადენილ ქმედებაზე მითითება. იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები 2009 წლიდან დღემდე; მაგ. 2009 წლის I ნახ. საპარლამენტო ანგარიში, გვ. 123-124

ამოცანა 5.1.2.. თავისუფლება აღკვეთილი და პატიმრობაში მყოფი პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 40%

ამოცანა და მისი შესრულებისთვის საჭირო ოთხი საქმიანობა რელევანტურია, თუმცა წამების მსხვერპლთა დაცვას საქართველოს კანონი “იურიდიული დახმარების შესახებ” არ ითვალისწინებს, რაც ზემოთ განსაზღვრული მიზნის მიღწევას მნიშვნელოვნად აბრკოლებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს დმი-ებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციების შემუშავება და სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისი დაზიანებების აღწერის ფორმების შემუშავება, თუმცა სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის რეგულარული გადამზადება ამ ფორმების მიხედვით აუცილებელია. სამწუხაროა ჯანდაცვის სამინისტროს პასიურობა ფსიქიატრიული პაციენტების სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. რაც შეეხება აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის სრულყოფას - ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტროში განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები.

აქტივობა 5.1.2.1.. ადვოკატის დროულ ხელმისაწვდომობასთან, შეხვედრების კონფიდენციალურობასა და ხარისხიან მომსახურებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების, მონიტორინგის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაცია.

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტრო
- წამებასთან ბრძოლის საუწყებოთაშორისო საბჭო; იურიდიული დახმარების სამსახური; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სახალხო დამცველის ანგარიშები;
2. საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები

დამატებული ინდიკატორები:

1. გარე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები ასახავს რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროგრესს;
2. საჩივრების კლება ადასტურებს გაუმჯობესებას.

სტატუსი: არ არის შესრულებული **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01 **ბოლო ვადა:** 2017-12-31

შეფასება

იუსტიციის სამინისტროს [განცხადებით\[1\]](#), იგი ამ საქმიანობაზე უშუალოდ პასუხისმგებელ

უწყება არ არის და შემოიფარგლება საკითხის ირგვლივ უწყებებს შორის კოორდინაციით (ამ ფუნქციის კონკრეტული დატვირთვა სამინისტროს არ უცნობებია).

შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროებს, რომლებიც ასევე მითითებული არიან ამ საქმიანობის პასუხისმგებელი უწყებების გრაფაში, ჩვენს წერილობით მოთხოვნაზე პასუხი არ გაუციათ.

მხოლოდ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა [გვაცნობა\[2\]](#), რომ მან “უნდა უზრუნველყოს წამების და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები იურიდიული კონსულტაციით და იურიდიული დახმარებით.” მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი “იურიდიული დახმარების შესახებ” წამების მსხვერპლებისთვის დახმარების გაწევას ამ ეტაპზე არ ითვალისწინებს.

^[1] წერილი N7426 თარიღი:04/12/2-17

^[2] წერილი N LA 0 17 0017292

აქტივობა 5.1.2.2.. დროებით მოთავსების იზოლატორებში, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პირებთან სამედიცინო პერსონალის დროული ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალურობის, პატიმრობაში მყოფი პირის მიერ არჩეული ექიმის/სასამართლო ექსპერტიზის და საკუთარი ხარჯებით სამედიცინო გამოკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო; შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
2. სახალხო დამცველის ანგარიშები

დამატებული ინდიკატორები:

1. დახურული დაწესებულებების ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგი შესაბამის რეგულაციებზე დაკავებულთა/თავისუფლებადკვეთილ პირთა, როგორც პაციენტთა უფლებების შესახებ;
2. დახურულ დაწესებულებებში მყოფი ყველა პირისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, მათ შორის, სამედიცინო პერსონალის დროული ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალურობის, პატიმრობაში მყოფი პირის მიერ არჩეული ექიმის/სასამართლო ექსპერტიზის და საკუთარი ხარჯებით სამედიცინო გამოკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ (პოსტერები, ბროშურები, სიტყვირად ინფორმაციის მიწოდება პირისთვის გადაგები ფორმით);
3. მოთხოვნების რაოდენობის სრული თანაფარდობა დაკმაყოფილებულ მოთხოვნებთან ცხადყოფს ექიმის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო უზრუნველყოფას;
4. დახურულ დაწესებულებებში მყოფი პირების საჩივრების სტატისტიკა სამედიცინო პერსონალის დროული ხელმისაწვდომობის ან/და კონფიდენციალურობის არდაცვასთან მიმართებაში.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

საქმიანობის შესრულებაში წამყვან პოზიციაზეა შინაგან საქმეთა სამინისტრო - შს მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით^[1] დამტკიცდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია, რომელიც პრაქტიკულად სრულყოფილად ითვალისწინებს იზოლატორში მოთავსებული პირის სამედიცინო მომსახურების ყველა ასპექტს და შეესაბამება ამ მხრივ დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს. შსს-ს წერილობითი პასუხის თანახმად^[2], 2016 წლის 13-17 დეკემბერს გადამზადდა სამედიცინო მომსახურების სამსახურის 26 მოსამსახურე.

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, გარე მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშებში აღნიშნულია სამედიცინო მომსახურების დროულობასთან, ექიმის დამოუკიდებლობასა და კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პრობლემები^[3].

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად^[4], ამ საქმიანობის შესრულების მიზნით, კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული ამ პერიოდში არ ყოფილა.

^[1] <http://police.ge/files/DMI/691.pdf>

^[2] 2017 წლის 28 სექტემბრის წერილი MIA 4 17 02334315

^[3] სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 19; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 42, 50; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N 64/36“, გვ. 4-5

აქტივობა 5.1.2.3.. დროებით მოთავსების იზოლაციებში, პოლიციის შენობებში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგენილი საჭიროებების შესაბამისად, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ტექნიკური უზრუნველყოფის გაზრდა, ვიდეოკამერების სისტემის სინქრონიზაცია, მონაცემების შენახვის ხანგრძლივობისა და დაცულობის გაზრდა) პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დაცვით.

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. კვლევა/რეკომენდაციები
2. ტექნიკური უზრუნველყოფის საჭიროების ანალიზი;
3. ვიდეოკამერების რაოდენობის გაზრდა (საჭიროების შემთხვევაში);
4. ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის სისტემების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა (საჭიროების შემთხვევაში);
5. სახალხო დამცველის ანგარიშები

დამატებული ინდიკატორები:

1. დახურულ დაწესებულებებში ფუნქციონირებს აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების შენახვას ხანგრძლივი ვადით, პირადი ცხოვრების პატივისცემის პრინციპსა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისად;
2. პერსონალური მონაცემების შენახვის წესების დარღვევაზე შესული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით^[1], სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე და განყოფილებების უმრავლესობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები, მიმდინარეობს განახლების პროცესიც, ხოლო ჩანაწერების შენახვის გონივრულ ვადად განსაზღვრულია მეხსიერების ბარათის რესურსი, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა კამერებისთვის, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

აღსანიშნავია, რომ კარგი პრაქტიკის შესახებ კვლევა, შსს სისტემაში, ამ პერიოდში არ ჩატარებულა.

სასტელალსრულების სისტემაში ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადად 24 საათის ნაცვლად 120 სთ განისაზღვრა^[2]. იგივე ცვლილებები განხორციელდა დროებითი მოთავსების იზოლატორების დებულებაშიც, თუმცა საანგარიშო პერიოდის შემდგომ^[3].

ვიდეოჩანაწერების ვადების გაზრდა გარკვეულწილად გააადვილებს არასათანადო მოპყრობის საქმეებზე ვიდეომტკიცებულების მოპოვებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ ვადის კიდევ უფრო გაზრდა - მინიმუმ ერთ თვემდე^[4], რადგან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს), ხუთი დღის განმავლობაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შესაძლოა, არ მიეცეს საჩივრის შეტანის და შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვის საშუალება.

^[1] წერილი MIA 0 17 02529027 თარიღი:19/10/2017

^[2] 2017 წლის 20 მარტს განხორციელებული ცვლილები სასტელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ივნისის N35 ბრძანების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2823755?publication=3>

^[3] 2018 წლის 3 თებერვალს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერი შეინახება 5 დღე-ღამის განმავლობაში, ნაცვლად ადრე მითითებული 24 საათისა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4044496>

^[4] სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში დმი-ების შემთხვევაში რეკომენდებულია ვადის 20 დღემდე გაზრდა (გვ. 27), ხოლო სასტელალსრულების დაწესებულებების დეესკალაციის ოთახების შემთხვევაში - 1 თვე (გვ. 45).

აქტივობა 5.1.2.4.. “სტამბოლის პროტოკოლის” მიხედვით წამებისა და არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ფორმის დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

წამებისა და არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ფორმა შემუშავებულია და დამტკიცებულია.

დამატებული ინდიკატორები:

დოკუმენტირების ფორმა შეესაბამება "სტამბოლის პროტოკოლის" მოთხოვნებს.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანებების აღრიცხვის წესი; იმავე ბრძანებით დამტკიცდა სააღრიცხვო ფორმები^[1].

შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის ბრძანებას ასევე ახლავს დაზიანებების აღწერის ფორმები, რომლებიც სტამბოლის პროტოკოლის მიხედვითაა შედგენილი. სამინისტროს ინფორმაციით^[2], ზემოაღნიშნული ფორმები შეიმუშავა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა^[3].

^[1] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402759>

^[2] MIA 4 17 02334315 თარიღი:28/09/2017

^[3] სამინისტროს ინფორმაციით, “2017 წლის 4-6 თებერვალს შსს აკადემიაში, ასევე ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ტრენინგი ჩატარდა შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის 31 მოსამსახურეს. ტრენინგი ეხებოდა სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირებას და მათ ფოტოგრაფირებას.”

აქტივობა 5.1.2.5.. სამედიცინო პერსონალის მომზადება წამებისა და არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირებისა და პრევენციის საკითხებში

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

წამების და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიყენებული დაზიანებების დოკუმენტირება პერსონალს შეუძლია ყველა დაწესებულებაში.

დამატებული ინდიკატორები:

- პერსონალის უნარების ტესტირების შედეგები მიუთითებს გავლილი მომზადების ეფექტურობაზე;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და მონიტორინგის სხვა მექანიზმების ანგარიშები ცხადყოფს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების მხრივ;
- გადამზადებული პერსონალის %-ული რაოდენობა სრული რაოდენობიდან, უწყებების მითითებით, დაწესებულებების და მათი ტიპების გათვალისწინებით.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2016-17 წლებში სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად შემუშავებული სამედიცინო შემოწმების ფორმების გამოყენებაში გადამზადდა 57 სამედიცინო მოსამსახურე^[1]. სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ფორმები დანერგულია მხოლოდ რვა დმი-ში, სადაც სამედიცინო მომსახურებას ადგილობრივი პერსონალი ახორციელებს^[2]. მომავალში სასურველი იქნება მათი ყველა იზოლატორში დანერგვა და როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პერსონალის გადამზადება მათ გამოყენებაში.

ასევე, 15 დაწესებულების 145 სამედიცინო მოსამსახურე გადამზადდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის საწავლო ცენტრში^[3], თუმცა დღემდე მათი გამოყენების მხოლოდ 4 შემთხვევა დაფიქსირდა^[4]. სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, პატიმრები თავად აცხადებენ უარს სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების

დოკუმენტირებაზე. მომავალში სამინისტრომ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა უზრუნველყოს დაზიანებებით შესული პატიმრების უსაფრთხოება და ამავდროულად, პატიმრებს ნათლად განემარტოთ, რომ სტამბოლის პროტოკოლის ფორმების გამოყენება მათ გაზრდილი საფრთხის ქვეშ არ აყენებს.

^[1] MIA 4 17 02334315 თარიღი:28/09/2017

^[2] წამებასთან ბრძოლის თვალსაზრისით საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის პროცესში, სასურველია, თუ ცვლილება შევა შსს მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებაში და სამედიცინო პერსონალს მიეცემა საშუალება, დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, უშუალოდ მიმართოს პროკურატურას, იზოლატორის უფროსის ჩარევის გარეშე (დმი-ს შინაგანაწესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი)

^[3] წერილი MOC 0 17 00683200 თარიღი 04/09/2017; 2016 წლის IV კვარტალში დაზიანებების აღრიცხვაში გადამზადდა 94 სამედიცინო მოსამსახურე, ხოლო 2017 წლის I კვარტალში - 51.

^[4] აქვე უნდა აღინიშნოს დამტკიცებული წესის მნიშვნელოვანი ხარვეზი - არასათანადო მოპყრობის კვალის აღმოჩენის შემთხვევაში ექიმი ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, რომელიც დამოუკიდებელ საგამოძიებო უწყებად ვერ ჩაითვლება. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული უნდა იქნეს წამებასთან ბრძოლის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში.

ამოცანა 5.1.3.. დაკავებულ/პატიმრობაში მყოფ/თავისუფლებაშეზღუდულ/თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 60%

ადეკვატური საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობების შექმნა პატიმრობაში მყოფი პირებისთვის მინიმალური მოთხოვნაა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სასურველი იქნებოდა, აღნიშნული ამოცანის შესრულების საქმიანობები უფრო ჩაშლილად ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც ამოცანის განხორციელებას უფრო ეფექტურს გახდიდა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა საქმიანობებმა ამოცანის შესრულება სათანადოდ ვერ უზრუნველყო, რაც ასახულია სახალხო დამცველის შეფასებაშიც, შსს-ს შემთხვევაში კი, თავად უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

აქტივობა 5.1.3.1.. სასჯელაღსრულების სამინისტროს დაწესებულებების, დროებითი მოთავსების იზოლატორების, სანიტარული, ჰიგიენური, კვებითი და სხვა მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. გაუმჯობესებულია მატერიალური პირობები და ინფრასტრუქტურა
2. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები
3. რეაბილიტაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის თანაფარდობა ქვეყანაში არსებული დაწესებულებების საერთო რაოდენობასთან

დამატებული ინდიკატორები:

1. აქამდე არსებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია;
2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის, ასევე, არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები ადასტურებს პირობების გაუმჯობესებას;
3. ხარისხის კონტროლის დოკუმენტი.
4. ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების ნუსხა დაწესებულებების მიხედვით

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

სასჯელაღსრულების სამინისტროს [ინფორმაციით\[1\]](#), დაწესებულებებში რეგულარულად მიმდინარეობს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი და გაუმჯობესება. სამწუხაროდ, სახალხო დამცველი არ იზიარებს სამინისტროს პოზიტიურ განწყობას და 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში საკმაოდ უარყოფითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების უმრავლესობის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს[2] და აღნიშნავს, რომ მიუხედავად წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული ფიზიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური გარემოსი, “პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს.”[3]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული [ინფორმაციის](#) თანახმად[4], დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ამ მიმართულებით მუშაობა ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს. ჯერ არის არის დასრულებული შენობების შესაბამისი გამართვის პროცესი. მიმდინარეობს ვენტილაციის სისტემის განახლება. რიგ დაწესებულებებში განხორციელდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, თუმცა შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. ასევე, 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით განისაზღვრა დაკავებული პირების კვების, შხაპის მიღების უფლება, პაემნისა და ზარის განხორციელების უფლებები, ასევე იმ ჰიგიენური საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც უნდა გადაეცეს დაკავებულს.

^[1] წერილი MOC 7 17 00682055 თარიღი:04/09/2017

^[2] სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 22, 27, 55, 96; გვ.96-100; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 47

^[3] გვ. 106

^[4] SSG 0 17 02118193 თარიღი:04/09/2017

ამოცანა 5.1.4.. თავისუფლება აღკვეთილ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის დაცვის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 12%

ამოცანა ძალიან ფართოა და ფარავს სამოქმედო გეგმის IV თავში განხილულ საკითხებს. ამ უკანასკნელთ ემატება სამოქალაქო სექტორის ფსიქიატრიული პროფილის დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანდაცვა, მკურნალობა და რეაბილიტაცია. სასურველია, რომ ამოცანის ფორმულირება უფრო კონკრეტული ყოფილიყო.

ამოცანა არ მოიცავს (1) ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში, თუმცა მათი მონაცემების ხარისხი არასათანადო მოპყრობასთან მიმართებაში მაღალია; (2) პირებს, რომლებიც ამა თუ იმ პროფილის მიხედვით იმყოფებიან შეზღუდულ გარემოში (მაგ., თავშესაფარი შშმ პირებისთვის, ძალადობის მსხვერპლთათვის, და ინსტუტიცებში მცხოვრები ბავშვები).

ამოცანის სათანადოდ განხორციელება დასახული მიზნის მიღწევისთვის უმნიშვნელოვანესია, თუმცა მოცემული საქმიანობები ამას ვერ უზრუნველყოფს: საქმიანობა 5.1.4.2[1] არარელევანტურია ამ ამოცანისთვის და ამასთან ემთხვევა 4.1.1.1-ს[2]; ხოლო საქმიანობა 5.1.4.1[3], თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ სრულად არასაკმარისია ჯანმრთელობის დაცვის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფისთვის. ამასთან, საქმიანობების შესრულების ხარისხი ასევე ძალიან დაბალია - ჯანდაცვის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ადგილობრივი საჭიროებებისა და ხარვეზების კვლევა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობები ნაწილობრივ ან სრულებით არ არის შესრულებული.

[1] სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილი/პატიმრობაში მყოფი პირთა მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზი

[2] მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება

[3] ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფსიქიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ

რეგულაციების და დამკვიდრებული პრაქტიკის შეფასება და რეკომენდაციების მომზადება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

აქტივობა 5.1.4.1.. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფსიქიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ რეგულაციების და დამკვიდრებული პრაქტიკის შეფასება და რეკომენდაციების მომზადება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის
- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ჩატარებული შესწავლის/კვლევის ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი
2. სახალხო დამცველის ანგარიშები

დამატებული ინდიკატორები:

კვლევა ჩატარებულია გარე ექსპერტების მიერ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 20%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული [ინფორმაცია\[1\]](#), ჩატარდა კვლევა შერჩეულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის ანალიზის მიზნით. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდაციების მომზადების კუთხით, თუმცა ადგილობრივი კვლევა, როგორც ამას საქმიანობა ითვალისწინებდა, არ ჩატარებულა და არც რეკომენდაციები მომზადებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის პრობლემურობაზე

^[1] წერილი No 01/55501 თარიღი:30/08/2017

აქტივობა 5.1.4.2.. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში თავისუფლებაალკვეთილი/პატიმრობაში მყოფი პირთა მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. კვლევის შედეგები/ რეკომენდაციები;
2. სახალხო დამცველის ანგარიშები

დამატებული ინდიკატორები:

კვლევა ჩატარებულია გარე ექსპერტების მიერ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

იხილეთ საქმიანობის 4.1.1.1. შეფასება სხვადასხვა ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში ერთსა და იმავე ქმედებაზე სხვადასხვა სიმძიმის დისციპლინური სასჯელების დანიშვნის თაობაზე.

ამ საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი კვლევის განხორციელების თაობაზე სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

ამოცანა 5.1.5.. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება; დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა; შიდა ინსპექტირებისა და გარე მონიტორინგის გაუმჯობესება. დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 21%

აღნიშნული ამოცანა 5.1.6-ის იდენტურია, თუმცა მათ ქვეშ სხვადასხვა საქმიანობებია წარმოდგენილი. სასურველი იქნებოდა, ამოცანები გამიჯნულიყო იმგვარად, რომ ერთს მოეცვა დამოუკიდებელი საგამოძიებო სისტემის შექმნა და გარე მონიტორინგის საკითხები, ხოლო მეორე ფოკუსირებული ყოფილიყო შიდაუწყებრივი კონტროლის სისტემის გაუმჯობესებაზე. უმჯობესი იქნებოდა, ამ ამოცანის ქოლგის ქვეშ გაერთიანებულიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის კონცეფციის შემუშავებაც, რომელიც განსაზღვრულია 2014-2020 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში^[1]. ამოცანა სათანადოდ არ განხორციელებულა - დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მოდელი არ უზრუნველყოფს ამ მექანიზმის დამოუკიდებლობასა და ეფექტურობას, ხოლო შიდა მონიტორინგის მექანიზმების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ნორმატიული ცვლილებების გარდა, პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

^[1] საზოგადოებრივი მექანიზმის შექმნა გათვალისწინებული იყო 2014-15 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმითაც (ამოცანა 5.1.8), თუმცა გეგმაში საუბარი იყო სამინისტროსთან არსებულ მექანიზმზე, რაც, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელის სათანადო დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას ვერ უზრუნველყოფს.

აქტივობა 5.1.5.1.. წამებასთან და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის კონცეფციის შემუშავება.

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტრო; წამებასთან ბრძოლის საუწყებათაშორისო საბჭო; საქართველოს მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულების სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო;

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდინიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შემუშავებულია კონცეფცია

დამატებული ინდიკატორები:

კონცეფცია შემუშავებულია გარე ექსპერტების ფართო ჩართულობითა და გამჭვირვალე საკონსულტაციო პროცესის შედეგად.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

როგორც 5.1.1.1 საქმიანობის შეფასებისასაც აღინიშნა, იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით^[1], უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშავდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელზეც მოცემული ეტაპისთვის მიმდინარეობს სამთავრობო კონსულტაციები.

მიუხედავად სამოქალაქო სექტორის დიდი დაინტერესებისა და თანამშრომლობის სურვილისა, მისი ჩართვა, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებაში არ მომხდარა.

წინამდებარე ანგარიშის წერის ბოლო ეტაპზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფუნქციას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შეითავსებს. მხოლოდ ამ ინფორმაციის საფუძველზე ძნელია მექანიზმის არსისა და ეფექტურობის შესახებ მსჯელობა, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ უფლებამოსილებები თავისი ბუნებით სრულიად განსხვავებულ ინსტიტუციას მიენიჭება, არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. მეტიც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყოფის შემთხვევაშიც კი შესაძლოა, ამ ცვლილებამ ინსპექტორის საქმიანობის გარკვეული პარალიზებაც კი გამოიწვიოს. მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ ახლადშექმნილი სამსახური აღჭურვილი იქნება მხოლოდ საგამოძიებო კომპეტენციით. ასევე, მის კომპეტენციაში შემავალი დანაშაულების წრე საკმაოდ შეზღუდულია და არ მოიცავს, მაგალითად, ე.წ. “ჩადების” საქმეებს. ასეთ პირობებში, სამოქალაქო სექტორის შეფასებით, კითხვები ჩნდება მექანიზმის ეფექტიანობასთან დაკავშირებით^[2]. გაურკვეველია, რა მოსაზრებებით ითქვა უარი სამოქალაქო საზოგადოების მიერ შემუშავებულ მოდელზე, რომელიც დიდი ხნის წინ იქნა შეთავაზებული შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის.

^[1] წერილი N7426 თარიღი:04/12/2-17

^[2] http://coalition.ge/index.php?article_id=176&clang=0

აქტივობა 5.1.5.2.. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების ეფექტური გამოძიების მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციების ჩამოყალიბება და დანერგვა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს მთავარი პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო; წამებასთან ბრძოლის საუწყებოთაშორისო საბჭო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; უზენაესი სასამართლო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციები;
2. ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

იუსტიციის სამინისტროს [წერილში\[1\]](#) მითითებული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით არაფერია ნახსენები.

^[1] N7426 თარიღი:04/12/2-17

ამოცანა 5.1.7.. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

ამ ამოცანის შესასრულებლად, აუცილებელია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა, რის გარეშეც სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და სხვა ღონისძიებების გატარება შეუძლებელია. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში არაფერი გაკეთებულა დასახული ამოცანის შესასრულებლად. ამოცანის შესრულებას ისიც აფერხებს,

რომ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი საქმიანობებიც არ განხორციელდებულა.

აქტივობა 5.1.7.1.. მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული კანონმდებლობის ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესება (საჭიროების შემთხვევაში)

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტრო; წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისო საბჭო; იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს მთავარი პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. კვლევის შედეგი/რეკომენდაციები;
2. ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

იუსტიციის სამინისტროს [ინფორმაციით\[1\]](#), ამ საკითხზე მიმდინარეობს კონსულტაციები წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, თუმცა ამ ეტაპზე უწყებების შეჭერებული პოზიცია არ არსებობს.

^[1] წერილი N7426 თარიღი:04/12/2-17

აქტივობა 5.1.7.2.. მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

შემუშავებული მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა

დამატებული ინდიკატორები:

შემუშავებულია და დამტკიცებულია მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა ჰოლისტურ რეაბილიტაციას (ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური) და ხორციელდება კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

პროგრამა შემუშავებული არ არის.

ამოცანა 5.1.8.. საჯარო მოსამსახურეთა სწავლება და შესაძლებლობათა გაძლიერება წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით

ამოცანის შესრულების პროგრესი: 65%

აღნიშნული ამოცანის შესრულებისთვის დაგეგმილი საქმიანობები რელევანტურია, თუმცა მათი შესრულების ხარისხი არაადამაკმაყოფილებელია - ყველა უწყების სასწავლო ცენტრში ხორციელდება არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თემატიკაზე თანამშრომელთა გადამზადება, თუმცა გადამზადების წინასწარ განსაზღვრული გეგმა, საჭიროებათა კვლევა და მათზე დაფუძნებული მიდგომა კვლავ არ არის დაგეგმილი.

აქტივობა 5.1.8.1.. ტრენინგ-დაწესებულებების შესაძლებლობების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სწავლების კუთხით; კოორდინაციის გაზრდა დაწესებულებებს შორის; სასწავლო სტანდარტების, მასალებისა და მეთოდების გაუმჯობესება

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ტრენინგ-ცენტრის სრული ძალით ამოქმედება
2. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება

დამატებული ინდიკატორები:

1. სასწავლო ცენტრების მუშაობის ანგარიშებში ან სხვა დოკუმენტებში ასახულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გამოვლენილი საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების გზები, რისი გათვალისწინებითაც შემუშავებულია ახალი სასწავლო პროგრამა;
2. უწყებებს შორის დანერგილია აქტიური კომუნიკაციის და სასწავლო პროგრამების ჰარმონიზების სისტემა.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%**

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

საქართველოს მთავარი პროკურატურის [ინფორმაციით\[1\]](#), პროკურატურის სასწავლო ცენტრში მომზადდა პროგრამა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და სწორი კვალიფიკაციის თემაზე. პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2016 წელს ჩატარდა 5 ტრენინგი არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი კვალიფიკაციის თემაზე და 124 პირი გადამზადდა. ასევე, 2017 წელს დამატებით გადამზადდა 39 პირი.

სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის [ინფორმაციით\[2\]](#) 2016 წელს ცენტრმა შეიმუშავა პროგრამა სამედიცინო პერსონალისთვის - "პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა". ასევე მომზადდა სასწავლო ფილმი. არასამედიცინო პერსონალისთვის მომზადდა სასწავლო პროგრამები და ყველა ამ პროგრამაში წამების, ადაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თემას 8 აკადემიური საათი ეთმობა. ამ პროგრამებით 3000-მდე თანამშრომელი გადამზადდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინფორმაციით[3] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ასრულებს მუშაობას

კურიკულუმზე “ადამიანთა წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა”. პროგრამის დასრულებამდე, 2016 წელს ჩატარდა 6 ტრენინგი (81 მონაწილე), განახლებული კურიკულუმის საფუძველზე, წლის ბოლომდე კიდევ 2 ტრენინგია დაგეგმილი.

მისასაღმებელია, რომ ყველა სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასათანადო მოპყრობის თემატიკაზე შესაბამისი უწყებების თანამშრომლების გადამზადებას, თუმცა სასურველია, რეგულარულად ხორციელდებოდეს პროგრამების ხარვეზების შესწავლა და მათ აღმოფხვრაზე მუშაობა, ასევე, გადასამზადებელი თანამშრომლების ნუსხის წინასწარი განსაზღვრა და შესაბამისი თემატიკის შერჩევა.

რიგ შემთხვევებში გადამზადება და პროგრამების შემუშავება მიმდინარეობს ერთი და იმავე დონორის მხადაჭერით (მაგ. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროგრამა), რაც შესაძლოა უზრუნველყოფდეს გადამზადების პროგრამების შინაარსობრივ თავსებადობას. თუმცა, რაიმე სისტემური სახის კოორდინაციის შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის.

^[1] წერილი N13/57372, 04/09/2017

^[2] წერილი MOC 7 17 00657224 თარიღი:23/08/2017

^[3] წერილი N02/1595 თარიღი:24/08/2017

აქტივობა 5.1.8.2.. საჭიროების შესაბამისად სასწავლო მოდულების შემუშავება არასათანადო მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით, სასწავლო ცენტრების ტრენინგთა მომზადება, თანამშრომელთა სისტემური სწავლება. დროებითი მოთავსების იზოლატორების და პენიტენციური დაწესებულებების მოქმედ და მომავალ თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება საბაზისო სასწავლო კურსის ფარგლებში, ასევე სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. დროებითი მოთავსების იზოლატორების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა
2. ცვლილებები/ახალი სასწავლო პროგრამებში
3. გაუმჯობესებული/ახალი ტრენინგ-მოდულები;
4. ანგარიშები ტრენინგების ჩატარების შესახებ
5. საჯარო მოხელეთა რაოდენობა, ვინც გაიარა განგრძობადი სწავლების პროგრამა

დამატებული ინდიკატორები:

1. განახლებული/გაუმჯობესებული პროგრამების შინაარსი უზრუნველყოფს დმი-ს თანამშრომელთა სათანადო მომზადებას არასათანადო მოპყრობის აკრძალვის თაობაზე;
2. პრე და პოსტ შეფასების ფორმები ცხადყოფს სასწავლო კურსის ეფექტურობას;
3. გადამზადებულ თანამშრომელთა %-ული რაოდენობა უწყებების, დაწესებულებების და დაწესებულებების ტიპების მიხედვით.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

სასჯელალსრულების სასწავლო ცენტრის ინფორმაციით¹¹, 2016 წელს დაზიანების აღრიცხვის პროგრამით გადამზადდა 145 ექიმი. არასამედიცინო პერსონალისთვის მომზადებული პროგრამით ჯამში 3000 მდე თანამშრომელი გადამზადდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აკადემიის სასწავლო კურსი, რომლითაც შსს თანამშრომლები, მათ შორის, დმი-ების მოსამსახურეები გადიან მომზადება/გადამზადებას, მოიცავს წამების აკრძალვის თემატიკას, მათ შორის, ევროსასამართლოს პრეცედენტების განხილვას, სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებებს გამოძიებასთან დაკავშირებით და ა.შ. 2016 წელს დანერგილი დისტანციური სწავლების მეთოდით იმავე წელს დმი-ს 18 თანამშრომელი, ხოლო 2017 წელს - 40-მდე თანამშრომელი გადამზადდა. 2017 წელს ჩატარდა ტრენინგი დისკრიმინაციის აკრძალვისა და არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის 13 თანამშრომელმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თემატიკაში, მათ შორის, დაზიანებების აღწერის საკითხებში რეგულარულად გადამზადდნენ არა მხოლოდ დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო, არამედ ასევე არასამედიცინო პროფილის მოსამსახურეებიც, რაც ამ ეტაპზე სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის.

¹¹ - წერილი MOC 7 17 00657224 თარიღი:23/08/2017

ამოცანა 5.1.6.. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება; დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა; შიდა ინსპექტირებისა და გარე მონიტორინგის გაუმჯობესება. დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 27%

ამოცანის სათაურის არაადეკვატურობაზე უკვე ვიმსჯელეთ 5.1.5 ამოცანის ქვეშ. ამასთან, მისი შესრულებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება, საანგარიშო პერიოდში, არ განხორციელებულა, რის გამოც ამოცანა არასაკმარისად იქნა მიღწეული. შიდაუნწყებრივი კონტროლის გაუმჯობესების მხრივ მხოლოდ რეგულაციების გადახედვაა დაგეგმილი, რაც პრაქტიკაში ამ მექანიზმების ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

აქტივობა 5.1.6.1.. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების სისხლისსამართლებრივი დევნის პრიორიტეზაცია და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებში შესაბამისი პოლიტიკის ასახვა; პროკურორებისთვის რეკომენდაციების განახლება;

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები
2. რეკომენდაციები პროკურორების განახლებულია
3. სახალხო დამცველის ანგარიშები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

პროკურატურის ინფორმაციით^[1], 2016 წელს შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ. წარმოდგენილი რეკომენდაცია გავრცელდა და გამოიყენება პრაქტიკაში. თუმცა არ არის საჭარო ინფორმაცია და ამ დოკუმენტების შინაარსს ვერ შევადგასებთ.

კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე (მაგ., სახალხო დამცველის ანგარიშებში) ამ პერიოდში სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება პრაქტიკაში ასახული არ არის^[2].

^[1] წერილი N13/57372, 4 სექტემბერი 2017 წ.

^[2] იხ. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.8

აქტივობა 5.1.6.2.. შიდა მონიტორინგის საქმიანობის გაუმჯობესება საკანონმდებლო და შიდაუწყებრივი რეგულაციებით (პროაქტიური ინსპექტირების, გენერალური ინსპექციის დამოუკიდებლობის გაზრდის, ანგარიშგებისა და საჩივრებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების დანერგვის ჩათვლით)

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ცვლილებები მარეგულირებელ კანონმდებლობაში;
2. განახლებული მეთოდოლოგია;
3. მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით^[1], ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, 2016 წლის იანვარში განხორციელდა ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების კვლევა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. დადებითად იქნა შეფასებული სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება. სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული - სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო^[2], რომლის ძირითად ფუნქციას პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის კონტროლი წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით^[3], “შიდა მონიტორინგის მექანიზმის დახვეწის მიზნით შემუშავდა მიგრაციის დეპარტამენტის უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების პროექტი, რომელიც შეფასებული იქნა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ.”^[4]

რეგულაციების დახვეწა, შიდა მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, უდავოდ მისასაღებელია. ჭერჭერობით ნაადრევია საუბარი, რა გავლენას იქონიებს ნორმატიული ცვლილებები ზემოაღნიშნული უწყებების პრაქტიკულ საქმიანობაზე. ამ ეტაპზე ასევე უცნობია, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების რა ნაწილი აისახა განხორციელებულ ცვლილებებში.

^[1] წერილი MOC 5 17 00681964 თარიღი: 04/09/2017

^[2] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 23 დეკემბრის N160 ბრძანებით სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულებაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2886056>

^[3] MIA 6 17 02271407, 21/09/2017

^[4] იმავე წერილში აღნიშნულია, რომ “აღნიშნული დოკუმენტი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 6 მაისის N231 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის No342 ბრძანებით იქნა დამტკიცებული. მონიტორინგის განყოფილება ახორციელებს პრევენციულ, ადამიანის უფლებათა სტანდარტების უზრუნველყოფის მონიტორინგსა და ახდენს უცხოელის უფლებათა დარღვევაზე რეაგირებას. აღნიშნული დოკუმენტი ასევე მოიცავს ანგარიშებისა და რეკომენდაციების შემუშავების პრინციპებს, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით განყოფილების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხას და სხვა სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს.”

აქტივობა 5.1.6.3.. არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება და სისტემური ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა.

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ხელმისაწვდომია სრულყოფილი სტატისტიკა;
2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვისა და ანალიზის კუთხით პროკურატურის მიერ ცვლილებები ამ პერიოდში არ განხორციელებულა. სტატისტიკური ინფორმაცია კვლავაც განთავსებულია პროკურატურის გვერდზე, თუმცა ამ მონაცემების რაიმე სახის ანალიზი არ ხორციელდება.

ანალოგიური მდგომარეობაა სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ აღრიცხულ სტატისტიკაზე - ცვლილებები ან ანალიზი 2015 წლის შემდეგ არ განხორციელებულა.

აქტივობა 5.1.6.4.. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობისა და მათი მოპყრობის გარე მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორის სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი) მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო აქტების მომზადება და წარდგენა, აგრეთვე, ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; წამებასთან ბრძოლის საუწყებატაშორისო საბჭო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახალხო დამცველთან თანამშრომლობით

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები

მოდერნიზირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები
2. საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები
3. შიდაუწყებრივი აქტები
4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 10%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

ამ საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია. საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით 2013-2014 წლებში კონსულტაციები მიმდინარეობდა არასამთავრობო სექტორთან. ამ საკითხზე შეთანხმება დღემდე არ მომხდარა. შედეგად, სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის გარდა, გარე მონიტორინგის სხვა მექანიზმი ქვეყანაში არ არსებობს.

პატიმრობის კოდექსში 2015 წლის 1 მაისს განხორციელებული ცვლილების იმპლემენტაციის მიზნით, 2016 წლის 1 სექტემბრის N123 ბრძანებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა განსაზღვრა სახალხო დამცველის პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წესი. ერთი შეხედვით, ეს ცვლილება პოზიტიურია, თუმცა ის, რომ ფოტოგადაღების განხორციელებისთვის, სახალხო დამცველმა დეტალური ინფორმაცია ხუთი დღით ადრე უნდა მიაწოდოს სამინისტროს, სიახლეს ყველანაირ პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს არასათანადო მოპყრობის თაობაზე მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, ვინაიდან 5 დღის მანძილზე ფოტოზე აღსაბეჭდი დაზიანება შეიძლება საერთოდ გაქრეს. გარდა ამისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფოტოგადაღების უფლება არა პატიმრობის კოდექსში, არამედ “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში უნდა აისახოს^[1].

^[1] აღნიშნულის გათვალისწინება სასურველი იქნებოდა მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში